



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49210855

თარიღი:26/03/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 16

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2021 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდის მიერ დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 24 მარტის N48-4821083155 წერილი, რომლითაც ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2021 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო წინადადებების განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

1. მოწონებულ იქნეს „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2020 წელს საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადება წარმოდგენილი დანართი N2-ის მიხედვით.
2. შერჩეული საპროექტო წინადადებები ინიცირების სახით წარედგინოს საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 2021 წლის 26 მარტის №16 განკარგულების
 დანართი №1

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგ(პ) ფონდის მიერ 2021 წელს დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული
 პროექტები

1	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ ბანოჯში 26-ე ქუჩის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფრთით	32099	30494	1605	2021 წლის აპრილი- აგვისტო	საპროექტო დოკუმენტაცია მზადაა, გავლილი აქვს ექსპერტიზა
	სულ	32099	30494	1605		